Zoma Diamond rinse

მჟავაზე დაფუძნებული სავლები საშუალება ინდუსტრიული ჭურჭლის სარეცხი მანქანებისათვის

აღწერა: Zoma Diamond-Rinse არის კონცენტრირებული ნაკლებ ქაფიანი ჭურჭლის სავლები სითხე - ჭურჭლის სარეცხი მანქანაში გამოსაყენებლად ავტომატური გავლებისათვის.

მთავარი თვისებები:

Zoma Diamond-Rinse- არის კონცენტრირებული, სავლები მჟავა დანამატი. იგი წარმოადგენს ჭურჭლის სარეცხი მანქანებისათვის სპეციალურად შექმნილ მჟავას. პროდუქტი შეიცავს ნაკლები ქაფის შემცველ აქტიური ნივთიერებების ნაზავს, რომელიც შრება სწრაფად და გაშრობისას არ ტოვებს ზოლებს, იგი აკონტროლებს ჭურჭლის სარეცხ მანქანაში ქაფის წარმოშობას. მჟავა ასევე შეიცავს კალციუმის ნადების საწინააღმდეგო ნივთიერებებს, რათა მანქანა დაიცვას საშუალო და ხისტი წყლისგან წარმოქმნილ ნადებისაგან. Zoma Diamond-Rinse-ს გამოყენების წესების გათვალისწინებით, პროდუქტის გამოყენება საფრთხეს არ წარმოადგენს.

სარგებელი:

- უზრუნველყოფს სწრაფ გაშრობას
- არ ტოვებს ზოლებსა და ლაქებს
- პროდუქტი შესაფერისია ხისტ წყალში გამოსაყენებლად.

გამოყენების ინსტრუქცია:

Zoma Diamond-Rinse-ავტომატურად ზავდება ჭურჭლის სარეცხი მანქანების საბოლოო გასავლებ წყალში 1–1.5 მლ/ლ კონცენტრაციით, ავტომატური დოზირების მოწყობილობის ან ინტეგრირებული დოზირების პომპების გამოყენებით (მისი არსებობის შემთხვევაში).
ასევე შესაძლებელია მისი ხელით დამატება მცირე ზომის ჭურჭლის სარეცხი მანქანების სავლები სითხის რეზერვუარში.
ფაქტობრივი დოზირების დონე განისაზღვრება ადგილობრივი პირობების მიხედვით.

პირველი გამოყენებისას, გარეცხეთ დოზირების სისტემის ტუმბო და მილები, რათა თავიდან აიცილოთ კრისტალიზაცია მილებში პროდუქტის შერევის შედეგად.

ტექნიკური მონაცემები:

გარეგნული ფორმა: გამჭირვალე მოლურჯო სითხე

pH (1% ხსნარი): 1,5

შედარებითი სიმკვრივე (20°C): 1.04

ზემოთნახსენები მონაცემები წარმოადგენენ ტიპიურ სიდიდეებს და სპეციფიკაციებად არ უნდა განიხილებოდნენ.

უსაფრთხო გამოყენება და შენახვა:
პროდუქტის უსაფრთხო გამოყენებისა და გადამუშავების სრული ინსტრუქცია მოცემულია ცალკე მონაცემთა უსაფრთხოების ფურცელ-ში.
შეინახეთ ორიგინალურ კონტეინერში. მოარიდეთ მაღალ ტემპერატურას.

პროდუქტის თავსებადობა:
მხოლოდ რეკომენდირებულ პირობებში გამოყენებისათვის, Zoma Diamond-Rinse –ის გამოყენება მიზანეწონილია სამზარეულოში ხშირად არსებული ნივთების უმეტეს ნაწილთან. გამჭვირვალე პროდუქტი კოროზიულია თითბერისა და სპილენძის მიმართ. არ გააზავოთ პროდუქტი ბოილერთან ახლოს, ეცადეთ თავი აარიდოთ ლეგირებული სპილენძის ან თითბერის მილის გამოყენებას. ინექციის ადგილას გამოიყენეთ უჟანგავი ფოლადი.

შპს კლინტექ; ს/კ 204442451-ის
დაკვეთით აწარმოებს შპს ზომა ჯორჯია
მისამართი: ქ.თბილისი, ფონიჭალა,
რუსთავის გზატკეცილი #68ა
ტელ: +995 (595) 608 778
www.zoma.ge; info@zoma.ge

Cleantech